საინფორმაციო ცენტრი ნატოსა და ევროკავშირის შესახებ

პროექტი „დაბრუნება სკოლაში“ (Back to School)

პროექტი “დაბრუნება სკოლაში” (Back to School) მაღალი თანამდებობის პირების მშობლიურ სკოლებში დაბრუნებას ითვალისწინებს. აღმასრულებელი და საკანონმდებლო ორგანოების წარმომადგენლები საკუთარ სკოლებში მოსწავლეებთან და პედაგოგებთან არაფორმალურ გარემოში ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის მნიშვნელობაზე საუბრობენ.

პროექტი ძირითადად ნატოს კვირეულისა და ევროპის დღეების ფარგლებში ხორციელდება.

2015-2016 წლებში, ნატოსა და ევროპის დღეების ფარგლებში პროექტში ჩაერთვნენ:

საქართველოს პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი

ფინანსთა მინისტრი ნოდარ ხადური

სახელმწიფო მინისტრი ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში
დავით ბაქრაძე

სახელმწიფო მინისტრი შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში
პაატა ზაქარეიშვილი

პროექტში რეგიონების თვითმმართველობების წარმომადგენლებიც ჩაერთვნენ, მაგალითად:

ქუთაისის პირველ საჯარო სკოლაში შეხვედრა იმერეთის ვიცე-გუბერნატორმა იოსებ ხახალეიშვილმა, ქუთაისის მერმა შოთა მურღულიამ და საკრებულოს თავმჯდომარემ დავით დვალმა გამართეს.

ქვემო ქართლის გუბერნატორი პაატა ხიზანაშვილიც ჩაერთო. გუბერნატორი მშობლიურ სკოლას, დმანისის რაიონის სოფელ გომარეთის საჯარო სკოლას ესტუმრა.